**ანგარიში საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამის და**

**ქვეპროგრამების შესახებ**

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (30 05)

სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

-----------------------------------------------------------------------------------------------------------------

**1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი** სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა

**პროგრამის განმახორციელებელი** სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო

| პროგრამის კოდი | დასახელება | წლიური დამტკიცებული მოცულობა | წლიური დაზუსტებული მოცულობა | საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება | საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში | საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 30 05 | სსიპ-საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა | | | | | 48 968.9 |

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა: მომზადდა სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ავტოდრომის ან დახურული მოედნის გარეთ ქალაქის მასშტაბით ჩატარებისთვის საჭირო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტში შესატანი შესაბამისი ცვლილებების პროექტი. სადაც გათვალისწინებულია ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის მართვის მოწმობების შესახებ დირექტივის მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების წესის ცვლილებას;

მომზადებულია საგამოცდო მარშუტები რეგიონების მიხედვით;

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად დაწყებულია მუშაობა საგამოცდო მარშუტების კეთილმოსაწყობად;

სააგენტომ დაგეგმა და განახორციელა აქტიური საინფორმაციო კამპანია მართვის მოწმობების ვადების, შეცვლის პროცედურების და საფასურების შესახებ. კამპანიის ფარგლებში გაიმართა რეგიონალური მედია ტურები, ასევე ინფორმაციის გავრცელების მიზნით შეხვედრები მოეწყო ყველა რეგიონალური ტელეკომპანიის, საინფორმაციო სააგენტო/რადიოს ჟურნალისტებთან;

საანგარიშო პერიოდში შესყიდული და დამონტაჟებულია სააგენტოს შენობებისთვის UPS-ები;

განხორციელდა IT უსაფრთხოების სისტემების მონტაჟი/გამართვა;

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შესყიდულია და ამოქმედებულია სააგენტოს ვებ გვერდზე ონლაინ ჩათი.

მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის, როგორც მოედნის ასევე ქალაქის პირობებში ჩასატარებლად შესყიდულია 6 ერთეული მოტოციკლი, სატვირთო მიკროავტუბუსი, სამგზავრო მიკროავტობუსი და ავტობუსი შესაბამისი აღჭურვილობებით;

მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის B კატეგორიის ჩასატარებლად (მოედნის პირობებში) განახლებულია ავტოპარკი (შესყიდულია 37 ერთეული ავტომანქანა).

მართვის მოწმობის პრაქტიკული გამოცდის ქალაქის და მოედნის პირობებში ჩატარების მიზნით სააგენტოს რუსთავის, ახალციხის და ქუთაისის ფილიალებში მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში დაიწყო და გრძელდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის საჭირო საწვავის და სხვადასხვა უნიფორმების შეძენის და გადაცემის პროცედურები.